572
1966/2

800



# ცისკარი

1966 სექტემბერი №9

# რუსთაველის სურათზე

აკაკი წერეთელი

სულმნათო! მადლი შენს გამჩენს!
დიდება ერსა შენს მშობელს!
და მეგლად სამარადისოდ
ნეტარხსენება ამ სოფელს!..

შენ ნიშნად უკვდავებისა
ერს მოვლენიხარ განგებით,
ვით ცისარტყელა წარღვნისა
უცნაურისა ჭანგებით.

სულმნათო! ჩვენცა გვასწავლე
ეგ საიდუმლო ქღერისა,
რომ აგვისრულდეს წადილი,
მგოსანი ვიქმნე ერისა;

რომ ჩემის მღერით აგზნილი
რაყიფი ტარიელობდეს,
ქაჯთა ებრძოდეს ლომ-კაცი,
ჩუსტანისათვის ხელობდეს...

მაშინ, ვით ჩვენსა მნათობელს,
სახელი აღგემატება
და შენი სახე ივერთა
გულს მეგლად დაეხატება...



შოთა რუსთაველი ნახატი **სერგო ქობულაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალ „დილას" რედაქციას

მოსკოვის მწერალთა კავშირის სამდივნო, საბავშვო და მოზარდთა მწერლების შემოქმედებითი გაერთიანების ბიურო, საქართველოს ნორჩ თაობას გილოცავთ დიდ ნაციონალურ ლიტერატურულ დღესასწაულს,— გენიალური შოთა რუსთველის იუბილეს.

დღეს, ჩვენთან ერთად, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმობს ქართველი ხალხის გენიის დაბადების დღეს.

სერგეი მიხალკოვი
ლევ კასილი

# ქვის „დედა ენა"

ლევან გოთუა

ნახატები დიმიტრი ზარაფიშვილისა

ქვეყანა დასეტყვილ ვენახს დაემსგავსა. მონღოლებმა მოაოხრეს ქართული მთა-ბარი. დაწიოკდა და აირია ხალხი. ერთ-ერთ უდაბურ კლდეს, ბერთუბნის მახლობლად, შეეხიზნა მშობლებდაკარგული ბიჭი. მას ქვამარილის მეტი უბეში არა ედო რა. ზედად, გარეჯიდან გადმოხვეწილ ირმების მცირე რემას წააწყდა. ქვამარილი გაალოკინა და მიიჩვია. მერმე ნუკრებთან ერთად სწოვდა ფურ-ირემს. ეს იყო მისი პურიც და წყალიც. ასე გაჩნდა უდაბნოში ირმის ხევი.

ახლა ფეხდაკოდილი, ოჯახდაკარგული, ნალაშქრი მწიგნობარი გადმოვარდა ირმის ხევში. სატევარი და მშვილდ-ისარი შერჩენოდა, გუდაში დიდი წიგნი ედო, ზევიდან კი დაკრული ჰქონდა კათხა და წერაქვი.

ირემს სდია, მაგრამ ფეხმა უმტყუნა. ზედაც ბიჭი გადაუდგა...

— მამისტოლა კაცო, ვინა ხარ? ჩემი ირმებია!



ეროვნული ბიბლიოთეკა

— საიდან გაჩნდი, ბიჭო? ედიშერ მწიგნობარი ვარ, ნაომარი და ნარბევი... შენი ირმებია? შენ კი ვილა ხარ?

— ბიჭი-ხიმშია!

— სამი დღეა მშიერ-მწყურვალი ვარ! ფქვილი მაქვს და წყალი არა!— და ისევ ირმებს გააყოლა თვალი.

— ეგ კათხა მათხოვე...—გამოართვა და წინ წარუძღვა, —წამო, ნაქვაბარში აგიყვან.

ედიშერმა აათვალ-ჩაათვალიერა პირმონგრეული ნაქვაბარი. ქვევით შორიახლოს ირმები ბალახობდნენ.



ბიჭი რომ მობრუნდა, კლდის კვეთის ხმა შემოესმა. ქვაბის შიდა მხარეს აღრმავებდა ედიშერი. ქვის თახჩაზე გადაშლილი, დიდი წიგნი იდო.

ირმის რძეს დაეწაფა მაშვრალი. კათხა ჩაანახევრა, ჰირიდან ძლივს მოიშორა, ბიჭუნას უხმოდ გაუწოდა. მან არ გამოართვა...

— სულ შენია... რას გეყოფოდა მამისტოლას?! მე იქ უკვე...

ედიშერმა ერთი გაჯავრებულად შემოჰხედა ბიჭუნას:

— ტყუილი არ მითხრა, ბიჭო, თორემ იმ წიგნს ვფიცავ...—მერმე სულმოუთქმელად გამოსცალა კათხა და უსიტყვოდ ეცა წერაქვს, ქვაბის კვეთა განაგრძო.

ბიჭუნას კი ცრემლი სდიოდა. უნებურად ტყუილი გამოუვიდა. მოტრიალდა, რომ მოსულს არ შეენიშნა, წინ წიგნი დახვდა—დიდი, უზეგადაშლილი, საფიცარი, ყოველ საიდუმლოებით აღსავსე... იდო და თითქოს უხმოდ გალობდა... ჭიანჭველებივით გაბმულ-გაბმულად ისახებოდნენ ასოები, სტრიქონ-სტრიქონ გადარბოდნენ!

— კითხვა იცი?—ერთიც მოჰხედა ედიშერმა.

— არა...

— შეგირცხვა ირმის მადლი!

— მაინც რა წიგნია!?

— ვეფხისა... მაგით მიდგას სული და ძალა!—ედიშერმა უმატა კლდის შლას.

— ირმის რძე ჩემზე იყოს!—თავჩაქინდრულად ჩაიბუტბუტა ხიმშიამ.

— ვეფხის წიგნი და ქვის „დედა ენა“ ჩემზე!—წერაქვის ნაკვესს ჩააყოლა ედიშერმა, თან ჩაუღექს-ჩაუღიღინა:

„თუ რა გესმის, გაიგონე, ესე კმარის სწავლა
სწავლად...
ვერას ირგებ, არ დავდგები, სხვა ვიუბნო რაღა
მრავლად?“

კიდევ დიდხანს იშრომა და ილექსა ედიშერმა, ვიდრე მზე არ ჩაელია ქვაბის ხახაში.

განცვიფრებით უსმენდა ბიჭი ხიმშია. გუმანით ხვდებოდა, რომ ის ლექსები სულ ამ ვეფხის წიგნისეული იყო... და თითქოს იგი ჰკვეთდა კლდესა და ამხნევებდა, აახლოვებდა უბედურ შეხიზნულთა გულთაც.

დილით, ხიმშია ქვის ხრიალმა გამოაღვიძა. მწიგნობარი ქვაბში აღარ დახვდა. გული მოეწეწკა. მაგრამ უეცრად დაწყნარდა — ვეფხის წიგნი ისევ თავის ადგილზე იდო. გარეთ გაიხედა და შესავალი ველარ იცნო. მათი ქვაბი სრულიად მიუვალი გაეხადა ედიშერს.

— როგორღა ჩამოვიდე?—ჩასძახა ხიმშიამ.

— ჩემი გუდა დასჭერი თასმებად, ჩაგრიხე... მე სოლებს გავთლი საფეხურებად. ხიმშიამ გუდა დასჭრა. საკმაოდ გრძელი და მაგარი თასმა-ლვედი დაგრიხა. ახლა წიგნს მიუჯდა და დიდხანს, დიდხანს კრძალვით ფურცლავდა. ნახატებსაც წააწყდა... მოყმეს ფორეჯებიანი ტყავი მოეგდო, ერთგან ციხე იყო ცამდე აზიდული. მათი ქვაბის მსგავსი სადგომიც ნახა.

დიდხანს ეალერსა წიგნს. მაგრამ ყურადღება გაუმახვილა კაკბების გუნდების გადაფრენამ... მერმე ჯეირნებისა და შვლების დასავლეთისაკენ ერთობლივმა ლტოლვამ. მალე ედიშერიც მოვარდა ქოშინით. ჯაგის სოლები მოიტანა, ხიმშიას დახვედრებულ ლვედს მიუსადაგა, ზედა თავი დაამაგრებინა და ქვაბში ახოხდა.

— ნადირ-ფრინველი გარბის! ან დიდი მიწისძვრა იქნება, ან დიდი შემოსევა!

მალე ხიმშიას ირმებიც მოვარდნენ კლდის ძირში.

— ჩადი, მოწველე! მარილიც უხვად ალოკვინე... ესენიც თუ წავიდნენ, ველარც ჩვენ გავძლებთ!—ედიშერმა ცას შეჰხედა. ღრუბელა მზე საწვიმრად იკბინებოდა.

ხიმშია ჩაჰყვა ლვედის კიბეს.

ედიშერმა ზევიდან წყლის ჩამოსადენი ღარი გასჭრა, კლდეში საგუბარიც ამოსტეხა.

გათენებისას მოვარდა შხაპუნა. უდაბნომ ამოისუნთქა. ვიდრე აივსებოდა ქვის ავაზანი, ორთავ ხიზანი ქვაბის შესავალთან მუხლებზე იდგა და შხაპუნას სახეს უჩენდნენ.

გაიდარა და ხიმშია ირმების საძებრად წავიდა. ედიშერმა კი კვლავ შეაღრმავა ქვაბი, მერმე ჩავიდა და ველური პრასა და ნაცარქათამა მოიმარაგა. მგელსაც წააწყდა—ჯეირანი დაეკლა. ფაშვი გამოეჭამა.

ხიმშიამაც ამოიტანა რძით სავსე კათხა. კაკბის ახალდაფრენილი ლაპიც დაეჭირა.

ჯეირანი გაატყავეს და იმლამესვე მთლიანად შეწვეს. ქვაბში ავიდნენ და კიბე აიკეცეს. კაკაბი გუდაში ჩასვეს. წიგნთან მიწვნენ და დაიძინეს.

ბზეს ყვავის გუნდებმა დაასწრეს. აღმოსავლეთით რაღაც ბული იდგა. მერმე ალაპლაპდა და ამოძრავდა უდაბნო.

— მონღოლთ შემოსევა!—ჩაიდუდუნა ედიშერმა და ჩამოტეხილი ქვები ქვაბის პირთან მიზიდა, ამოაწყო, მხოლოდ საშუქილა დასტოვა... თავად წიგნს მიუჯდა. ხიმშიამ წერაქვს სტაცა ხელი, მარცხენა კედელი, რომელიც ყველაზე ნათელი იყო, ჩამოასწორა, ჩამოაშან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკა. ბოლოს ედიშერმა მუშაობას თავი მიანებებინა და გარეთ გაახედა.

— მოვიდნენ! ხმა არ გააღებინო წერაქვს!

გარესამყარო დაფარული იყო მონღოლთ ლაშქრით, აქლემქარავნებით, ხარგებით, მარქაფა ცხენებით, შუბოსანთა გუნდებით... თითქოს უდაბნო მეწყრად ადგა და წარღვნად დაიძრა! ხმა და მტვერის კორიანტელი ზარავდა ჰაერს...

ბიჭს კანკალი აუვარდა. ედიშერმა შეატყო და საჭვრეტს მოაცილა...

— აბა, ვიწყებ ანბანს... და ვიდრე შემოხევა გადაგორდება, ვეფხის წიგნია ჩვენი საფარი! შიში არ გაივლო გულში, თორემ დედა ენას ველარ ისწავლი!—მოშანდაკულ მხარეზე ანბანი ზევიდან ქვევით, ისრის წვერით გამოუკაწრა, ბიჭს რამდენიმეჯერ გაუმეორა და ისარი გადასცა...—ახლა იმეორე და წერე! — თავად ისევ წიგნს მიუჯდა, არც გარესაჭვრეტელი დაივიწყა.

ხიმშია ნახევარ ანბანზე არ იყო ჩასული, რომ ქვის „დედა ენას“ გარედან შემოვარდნილი ისარი მოხვდა... მაგრამ ვერაფერი დააკლო და ჩამოვარდა; ერთი-ორიც გარექვებს მოხვდა. ედიშერმა ხელი სტაცა გუდას და კაკაბი გარეთ გაუშვა. იხიც დამფრთხალ ჭრიახით გადაევლო ძირს მიმდგარ ურდოს და შორს გაფრინდა.

მომხვდურებმა მაშინვე თავი ანებეს თითქოს უკაცრიელ ქვაბს და გაეცალნენ.

ხიმშიამ ახლა ორი ისრით განაგრძო ქართულ ანბანის სწავლა და ქვაზე სახვა.

ერთი კვირა მაინც დიოდა მტრის ულევი ურდო. ერთი კვირა ებრძოდა და იზეპირებდა ხიმშია კლდის „დედა ენას.“ ასო-ასო ჩამოათავა კედელი. თანდათან უქრებოდა „ქვაბქვეით მოთარეშე უწიგნურთა“ შიში. თითქოს ქვისა და ანბანის აბჯარში ჯდებოდა ბიჭი ხიმშია! ირმის ძუძუსაც მოითავებს და ახლა ვეფხის წიგნზე გადავა!

ედიშერმა კი, ჩურჩულით, ხელახლა გადაიკითხა დიდი წიგნი ქართველობისა.

ერთ კვირას ეყოთ ჯეირნის ხორცი, მოხალული ფქვილი, ველური პრასა... წყალი კი უფრო ბლომად ჰქონდათ.

ხიმშია უკვე ანბანით ნიშნავდა და წერდა შემოსევის დღეებსა და თარიღებს. მერვე დღეს კლდის თავიდან ჩამოგორდა ქვის მცირე შვავი.

შეფიქრიანდნენ ხიზნები, ხელი მშვილდ-ისარსა და წერაქვს დასტაცეს...

... მაგრამ მალე ირმის ყვირილი მოესმათ. იცნო ხიმშიამ... გარეთ გაიხედა... ახლომახლოში კაკბები კაკანებდნენ... უფრო გაბედულად გადაჰხედეს გარემოს.

არსად, არავინ ჩანდა. დაელოდნენ და როდესაც ირმები კლდის ქვეშ ჩამოუვიდნენ, მაშინ კი ჩაუშვა ედიშერმა ლვედის კიბე... ჩანს „წარღვნა“ გათავებული იყო. ხიმშია ჩავიდა პირველი, ქვამარილიც ჩაუტანა ირმებს... სათითაოდაც დაჰკოცნა მშვიდობის მახარობლები. რძეც ბლომად აუტანა თავის შეკოჭლებულ მასწავლებელს... ედიშერს ახლაღა მოაგონდა, რომ ფეხი დაკოდილი ჰქონდა და სტკიოდა. ხიმშია თამამად მივიდა გადაშლილ წიგნთან და ჯერ დახურა, თავფურცელი მოუნახა და სათაური წაიკითხა...



— „ვეფხისტყაოსანი“!.. ახლა კი სადაც გერჩიოს გადამიშალე.

ედიშერმა შენამული თვალები ჩაჰხარა და კარგა ხანს ჰფურცლა, მერმე ხელი დაადო, ბიჭმა დამარცვლით, მაგრამ მიწყობილად, მოიმარჯვა თავისი „ქვის დედა ენა“ და წაიკითხა:

— „ჭირსა შიგან გამაგრება
ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა!“

## ტარიელისაგან ხატაეთს წასვლა და დიდი ომი

„შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად;
საომრად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად;
ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად.
და მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად.

„ახლოს მივე, შემომხედეს, „შმაგიაო“, ესე თქვესა.
მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;
კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა,
და შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!

„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;
კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი,
და ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი.

„ერთობილნი მომეხვივნეს, მგრგვლივ შეიქმნა ომი დიდი;
ვჰკრი რასაცა, ვერ დამიდგის, სისხლსა მჩქეფრსა აღმოვღვრიდი;
ცხენსა კაცი გაკვეთილი მანდიკურად გარდავჰკიდი.
და სითცა ვიყვი, გამექციან, მათ შექმნიან ჩემი რიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი სერგო ქობულაძისა

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანი!



# რუსთაველის დროინდელი ქართული ხელოვნება

ვახტანგ ბერიძე

ისეთი დიდი პოეტი, ისეთი ბრძენი მოაზროვნე, როგორიც შოთა რუსთაველი იყო, მხოლოდ დიდად განვითარებულ ქვეყანას შეეძლო წარმოეშვა. ასეთი ქვეყანა იყო XII საუკუნის საქართველო, რომელსაც მაშინდელ წინა აზიაში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა სიმდიდრით, სამხედრო ძლიერებითა და კულტურული დონით.

იმხანად, საქართველოში რუსთაველის გარდა, ბევრი სხვა შესანიშნავი პოეტიც მოღვაწეობდა, მათ შორის — ჩახრუხაძე და შავთელი. მაგრამ საქართველოს მაშინდელი კულტურა მარტო პოეზიით არ ამოიწურებოდა: განსაკუთრებით განვითარებული იყო მშენებლობა და ხელოვნების მრავალი დარგი. ვისაც კი საქართველოში უმოგზაურია, ვისაც მოუვლია ჩვენი ხეობები, მთა-გორები, სოფლები, ყველამ იცის, რა მდიდარია ჩვენი ქვეყანა ხუროთმოძღვრების ძველი ნიმუშებით. დროთა განმავლობაში ძველი ქართველი ოსტატების ხელით ნაგები ბევრი მშვენიერი შენობა დაიღუპა, ბევრი მათგანი მტერმა იმსხვერპლა. ვინ არ იცის, რომ ჩვენს სამშობლოს წარსულში ხშირად ესხმოდნენ თავს მტრები, მაგრამ ბევრმა ნაგებობამ მაინც მოაღწია დღემდე. რუსთაველის ეპოქაში კი საქართველო მოფენილი იყო ციხე-სიმაგრეებით, რომლებიც გზებსა და ქალაქ-სოფლებს იცავდა, სასახლეებით, საზოგადოებრივი და სამეურნეო შენობებით, (ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებელს საავადმყოფოც კი აუგია). ჩვენი ქვეყანა დასერილი იყო სავაჭრო გზებით, რომელთა გასწვრივ ფუნდუკები (სასტუმროები) იდგა; მდინარეებზე აშენებული იყო ისეთი მტკიცე ხიდები, რომ ზოგი მათგანი დღესაც კი ასრულებს თავის დანიშნულებას. შენდებოდა დიდი ეკლესიები, რადგან შუა საუკუნეებში სარწმუნოება ძლიერ ფესვგადგმული იყო და დიდ როლსაც ასრულებდა ადამიანთა გონებრივ ცხოვრებაში. ამ ეკლესიებიდან, რომელიც უკეთ გადარჩა, ვიდრე ციხე-სიმაგრეები და საცხოვრებელი სახლები, ჩვენი ეროვნული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშებია. მათი კედლები შემკულია დიდი ოსტატობით შესრულებული ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმებით, შიგნით კედლები, კამარები და გუმბათები მოხატულია. ამ მხატვრობამ, საეკლესიო შინაარსის სცენების გარდა, შემოგვინახა მაშინდელ სახელმწიფო მოღვაწეთა პორტრეტებიც.

რუსთაველის ეპოქაში, მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეცამეტე საუკუნის დასაწყისშია აშენებული ბევრი ასეთი შენობა, რომელთა ნახვა ყველას შეგიძლიათ, თუკი მოისურვებთ; მაგალითად: ბეთანიის ეკლესია მდინარე ვერეს ხეობაში, თბილისიდან 18-20 კილომეტრის დაშორებით, ქვათახევის ეკლესია შუაგულ ქართლში, სოფ. კავთისხევს ზემოთ; ფიტარეთის ტაძარი თეთრი წყაროს რაიონში; ყინწვისის ტაძარი ქარელთან. მაშინდელია თბილისის „ლურჯი მონასტერი“, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში იგი ძლიერ დაამახინჯეს: გადარჩა მხოლოდ წარწერა შესასვლელის თავზე, რამდენიმე მოჩუქურთმებული სარკმელი და კედლების პერანგის ნაწილი. ამავე ხანებს, XII საუკუნეს მიეკუთვნება საქვეყნოდ ცნობილი, კლდეში ნაკვეთი ქალაქი-მონასტერი ვარძია, რომელიც რამდენსამე ასეულ ოთახს შეიცავს; ამ საუკუნისეულია ზოგი ნაწილი კლდეში ნაკვეთი მონასტრის — დავით-გარეჯისა. ეს მონასტერი თბილისიდან სამოციოდე კილომეტრის დაშორებითაა. დასასრულ, დიდი სამეფო სასახლე სოფელ გეგუთში, ქუთაისთან. სასახლე, სამწუხაროდ, ძლიერ დაზიანებულია. რუსთაველის სახელთან დაკავშირებულია იყალთოს აკადემია კახეთში, თუმცა თვით აკადემიის შენობა უფრო ადრეა აგებული. რუსთაველის ეპოქაში ძლიერი და შეუვალი იყო ციხე-ქალაქი თმოგვი — ვარძიის მახლობლად, მესხეთში. ვარძიაში, ბეთანიაში, ყინწვისსა და დავით გარეჯის ერთ-ერთ მონასტერში დღემდე დარჩენილა თამარ მეფის პორტრეტები, რომლებიც ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშია შესრულებული.

იმდროინდელ საქართველოში მხოლოდ ხელნაწერი წიგნი არსებობდა. მაშინ ხომ ბეჭდვა გამოგონილი არ იყო და უზარმაზარი წიგნები (ზოგი მათგანი ათასამდე დიდი ზომის გვერდს შეიცავს) სულ ხელით უნდა გადაეწერათ. ეს დიდ შრომასა და საქმის თავდადებულ სიყვარულს მოითხოვდა. ბევრ მაშინდელ წიგნს ვერცხლის ყდებს უკეთებდნენ. ყდაზე კი სხვადასხვა შინაარსის სცენები იყო გამოქანდაკებული. ასევე აქანდაკებდნენ ჩვენი ოქრომჭედლები ხატებსაც, — ეს ხელობა საქართველოში ძალიან განვითარებული იყო. ვისაც ძველი ქართული ხელოვნების — ნაჭედი ყდებისა და ხატების ნახვა სურს, უნდა ესტუმროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების, მხატვრობის, ხელნაწერებისა და ოქრომჭედლობის ნიმუშთა გაცნობა კიდევ ერთხელ დაგვანახვებს, რომ საუკუნეთა მანძილზე ჩვენს წინაპრებს ხელოვნების დარგშიაც მოწინავე ადგილი ეჭირათ განათლებულ ერთა შორის.

ჩვენ, ამ სახელოვანი წინაპრების შთამომავლებს, გაათკეცებული შრომა გვმართებს, რომ ახალი, კიდევ უფრო მშვენიერი, ქართული ხელოვნება შევქმნათ და ჩვენს სამშობლოს საქვეყნოდ გავუთქვათ სახელი.

ნახატი **ზურაბ რაზმაძისა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი ელგუჯა ბერძენიშვილისა

# ძვირფასო პატარა მეგობრებო, დიდებული ქართველი ხალხის შვილებო!

ნიკოლოზ ტიხონოვი

მოგესალმებით და გისურვებთ ყველაზე მთავარს—ჯანმრთელობას თქვენცა და თქვენს მშობლებსაც, თქვენს აღმზრდელებსაც; გისურვებთ წარმატებას ყველა კეთილ საქმეში, სწავლაში, შრომაში!

მოგილოცავთ გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილეს,—დიდ სახალხო დღესასწაულს!

იუბილეს ზეიმობს მთელი საბჭოთა კავშირი, მთელი მოწინავე კაცობრიობა.

შოთა რუსთაველს ჩვენს ქვეყანაში ყველგან იცნობენ—დაწყებული ყველაზე პატარა ქართული სოფლითა და გათავებული დიდი ქალაქით მოსკოვით. ქართველი ხალხი შოთას ქმნილებას ინახავდა მშვიდობიანობისა და ბედნიერების წლებშიც, ჩაგვრისა და განადგურების დროსაც.

შოთა რუსთაველმა შექმნა ისეთი გმირები, რომლებმაც მთელი სამყარო მოხიბლა. ნესტანი მშვენიერია, როგორც თვით საქართველო! ტარიელი და ავთანდილი დევგმირები არიან. ხალხმა მათ გოლიათური ძალა მისცა.

ჩემო პატარებო, გილოცავთ ჩვენს საერთო დიდებულ და ბრწყინვალე დღესასწაულს. ვიყოთ ერთად, ვიყოთ მეგობრულად და სიხარულით ვიზეიმოთ განუმეორებელი ბრძენი პოეტის, პატრიოტი შოთა რუსთაველის იუბილე.

# დიდი შოთა

ირაკლი აბაშიძე

რამდენ გამოჩენილ ქართველ მწერალზე, მოღვაწეზე გაგიგონიათ: წერა-კითხვა დედამ ასწავლაო, მისმა დედიკომ სულ ზეპირად იცოდა ადგილები შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნიდან და პატარა ყმაწვილს, მომავალ დიდ ქართველს, გონება ადრე გაეხსნა, ლიტერატურისა და მეცნიერებისადმი ინტერესი ადრე ჩაესახაო. ვეფხისტყაოსანმა ჩაუნერგა ბავშვს გულში სიყვარული სამშობლოსადმი, მშობლიური ენისადმი, მოყვასისადმი, სიმართლისადმი, სიკეთისადმი; მხურვალე გრძნობა ხალხისადმი უანგარო სამსახურისაო.

აი, ასე ზრდიდა რვაასი წლის მანძილზე ჩვენი დიდი წინაპრის, შოთა რუსთაველის უკვდავი ვეფხისტყაოსანი ადამიანებს. იგი აღაგზნებდა სიმართლისათვის საბრძოლველად; უნერგავდა კაცთმოყვარეობას, რაინდობის მაღალ გრძნობებს.

დიახ, ამიტომ ვზეიმობთ წელს ჩვენი დიდი შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავს.

და რაც მეტი დრო გავა, კიდევ უფრო ახლოს მივა იგი შთამომავლობასთან; კიდევ უფრო მეტი ადამიანი გაიცნობს მას ჩვენს დედამიწაზე. კიდევ მეტად ჩაწვდებიან მისი აზრის, მისი ლექსის საიდუმლოს ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში. რაც დრო გავა, იგი ყველასათვის უფრო ახლობელი გახდება.

ნახატი ზურაბ კაპანაძისა

# მიეც გლახაკთა საჭურჭლე...

(თქმულება)

ამბობენ, მეფე თამარი ისეთი გულკეთილი ყოფილა, არც ერთ გლახაკსა და მათხოვარს მოწყალების გარეშე არ გაუშვებდაო.

ერთხელ მეფე ეკლესიაში ყოფილა, მასთან ვილაც გლახაკი მოწყალების სათხოვნელად მისულა. თამარს უთქვამს, წირვის გამოსვლამდე მომიცადოსო. წირვის შემდეგ ის გლახაკი აღარ შეხვედრია მეფეს. ეს ამბავი თამარს ძალიან სწყენია, შეუხსნია ძვირფასი ალმასისთვლიანი ოქროს საყურეები და ეკლესიისთვის შეუწირავს, ხოლო ვეზირისთვის—შოთა რუსთაველისთვის უთქვამს:—დღეს რამდენი გლახაკიც მოვიდეს, ყველას ათ-ათი ოქრო მიეცი, რამდენი მონაც მოვიდეს, ყველას თავისუფლება უბოძეო.

შოთა რუსთაველი თამარის საქციელით აღფრთოვანებულა. ამბობენ, მაშინ მოუწოდა ყველა მეფეს, მიებაძათ თამარისათვის და ეს სტრიქონებიც მაშინ დაწერაო:



მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველნი, ობოლნი, არას მქონები.

# ნესტანი მშვენიერია, როგორც თვით საქართველო!

ნიკოლოზ ტიხონოვი

ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა





მგოსანო საქართველოსავ,
წამოიხედე ზეზედა,
იხილე შენი სამშობლო,
მიმოიარე მზეზედა.
შენი ერისა ჭაბუკნი
გიამბორებენ ხელზედა,
მართლდება შენი ნათქვამი
ათასზე (განა ერთზედა?)

ვაჟა-ფშაველა

მე რუსთველი ამა ზღვიდან
შემოვდივარ ჩემს ქვეყანას.
მოიარო სხვა ქვეყანა,
ვერ მოისმენ ამგვარ ნანას.
ხამს შესწირო კაცმა თავი
მხარეს—ედემს ამისთანას...
მის ვეფხვობას, მის სიუხვეს,
სიყვარულს და ოქროს ხანას!



# მუჭა მიწა შოთას გორაზე

(ხალხური)

შოთა რუსთაველის მშობლიური სოფელი მესხეთშია. მას რუსთავი ჰქვია. რუსთავში რომ ჩახვალ და მიიხედ-მოიხედავ, ერთ დიდ გორას დაინახავ. მას შოთას გორას უწოდებენ.

ძველად რუსთავში უამრავი ხალხი მიდიოდა. მიდიოდნენ ქართლელები, კახელები, იმერლები, გურულები, მეგრელები, რაჭველები, აჭარლები... მიდიოდნენ და შოთას გორადან თითო მუჭა მიწა მიჰქონდათ. მერე ამ მიწას თავიანთი ბალღების აკვნის ქვეშ ყრიდნენ, რუსთაველივით ბრძენი და გონებანათელი შვილები დაგვეზრდებაო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ დაასურათეს ვეფხისტყაოსანი

ბენო გორდეზიანი

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, საქართველოს ინტელიგენციის მეთაურებმა გადაწყვიტეს საუკეთესოდ გამოეცათ ქართველი ერის საუნჯე ვეფხისტყაოსანი. დიდი ილია, რომელიც ვეფხისტყაოსანს ქართველი კაცის მაჯისცემას უწოდებდა, საგამომცემლო კომისიას სათავეში ჩაუდგა. კომისიაში შედიოდნენ იმდროინდელი თავკაცები, მათ შორის: გრიგოლ ორბელიანი, ვანო მაჩაბელი, იონა მეუნარგია, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ქართველიშვილი.

ვეფხისტყაოსნის დამსურათებლად მოიწვიეს იმ დროს თბილისში სტუმრად მყოფი გამოჩენილი უნგრელი მხატვარი მიჰაი ზიჩი.

ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში ისეთი ადამიანი, რომელიც არ იცნობდეს ზიჩის ილუსტრაციებს.

ზიჩი მიწვეული იყო რუსეთის მეფის კარზე ხატვის მასწავლებლად. მას ძალიან უყვარდა რუსეთის გამოჩენილი მწერალი მიხეილ ლერმონტოვი, რომლის ნაწარმოებთა გმირებისა და აღწერილი ადგილების უკეთ გასაცნობად ეწვია კავკასიას 1881 წელს და თბილისში დაბინავდა.

ზიჩიმ, ვეფხისტყაოსნის დასურათება „ცოცხალი სურათების“ დადგმით დაიწყო. შეარჩევდა სასურველ ტიპებს, ჩააცმევდა მათ სათანადო ტანსაცმელს, დააყენებდა სცენაზე და მოუწყობდა განათებას. სცენის უკან რომელიმე მსახიობი კითხულობდა სურათის შესაბამის ტექსტს.

მაყურებლები ამ სანახაობით ხარობდნენ, ხოლო ზიჩი მისთვის ჩვეული სისწრაფით და დაკვირვებით ხატავდა. ასეთი სანახაობით გატაცებული ხალხი მას დიდ დახმარებას უწევდა.



თითქმის ორი წლის მუშაობის შემდეგ ზიჩი გაემგზავრა პეტერბურგს და თან წაიღო უამრავი ჩანახატები. უკვდავი პოემის უკეთ გასაცნობად ზიჩის გაუგზავნეს ვეფხისტყაოსნის პროზაული თარგმანი ფრანგულ ენაზე.

ამავე დროს, გრიგოლ ტატიშვილმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა პოემის მხატვრული გაფორმება, ილია ჭავჭავაძის ჩაგონებით შემოიარა საქართველო, ჩვენი განთქმული ტაძრებიდან და ხელნაწერი წიგნებიდან გადმოიღო ჩუქურთმები და სამკაულები, დიდი ხელოვნებით გარდაქმნა და ულამაზესი ორნამენტები შეუთვისა რუსთველის ვეფხისტყაოსანს.

ზიჩიმ კომისიას დასრულებული ესკიზები გამოუგზავნა და თან წერილი მოაყოლა:

„გიგზავნით არა თორმეტს, არამედ ოცდა-თოთხმეტ ესკიზს. შეარჩიეთ, რაც მოსაწონია და საჩქაროდ უკანვე გამომიგზავნეთ, რომ შემეძლოს საქმის მალე დასრულება... მე





დიდად მოხარული ვიქნები, თუ შევძლებ თქვენი იმედების გამართლებას და რუსთაველის თხზულებას შესაფერისად გამოსცემთ... მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ თქვენი ჩინებული აზრის განხორციელება შევძელ. ჩემი მხრით გამოვცემ არა მარტო ამ 34 სურათს, იქნება სხვებიც მივუმატო და პატარა ფოტოგრაფიული ალბომი დავაბეჭდინო დასავლეთ ევროპისათვის. ამით სახელი და დიდება ქართველთა პოეტის რუსთველისა უფრო ვრცლად მოეფინება ქვეყნიერებას“.

1888 წელს გამოვიდა ის წიგნი, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელოდა ქართველი ერი. მასში მოთავსებული ოცდაშვიდი ილუსტრაციიდან ერთი იყო ფერადი, რომელიც მთელი შინაარსის სიმბოლიურ აზრს გამოხატავდა. (ვეფხისტყაოსნის მირთმევა თამარ მეფისათვის).

ზიჩის რეალისტურად შესრულებულმა ილუსტრაციებმა რუსთაველის ქმნილებიდან განდევნა სპარსული მხატვრობა და მისი დასურათების საქმე ეროვნულ აღმავლობის გზაზე დააყენა.

ზიჩიმ, ალბომად შეკრული ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების ორიგინალები ქართველ ხალხს უსასყიდლოდ მიუძღვნა და თან ასეთი გულთბილი წარწერა გაუკეთა: „ქართველ ხალხს ჩემი თანაგრძნობისა და გულითადი ერთგულების ნიშნად“. საქართველოდან მან ხალხის ღრმა სიყვარული და ძმური მადლობა მიიღო.

ამის შემდეგ ქართულ ენაზე არაერთხელ გამოვიდა ვეფხისტყაოსანი. იგი დაასურათეს ჩვენმა გამოჩენილმა მხატვრებმა: ლადო გუდიაშვილმა, სერგო ქობულაძემ, ირაკლი თოიძემ, თამარ აბაკელიამ.

# შოთას წიგნი

გიორგი კაჭახიძე

ჩემს ტოლებში დღეს მეც ვამბობ
სიყვარულით შოთას სახელს,
მეც ვცნობ უკვე შოთას სურათს,
შოთას დიდი წიგნიც ვნახე.

გაკვირვებით რომ ვუცქერდი,
— გაშალეო, —დედამ მითხრა.
გადავფურცლე, მომეწონა,
მაგრამ კი არ წამიკითხავს.

პატარა ვარ, ჯერ ანბანის
ამოკითხვაც უჭირს თვალებს...
ჰოდა, მინდა, ძლიერ მინდა,
გავიზარდო დიდი მალე.

მაშინ ვეფხისტყაოსანსაც
არ დავხურავ დიდხანს, დიდხანს
და ხმამაღლა შოთას სიტყვებს
ვიმღერებ და წავიკითხავ!



„შოთა რუსთაველი"—ნახატი რუსუდან ზანძელაძისა, 10 წლის, თბილისი.



„ქაჯეთის ციხესთან"—ნახატი ხათუნა კერესელიძისა, 9 წლის, თბილისი.



„ნესტანი"—ნახატი რუსუდან ორაგველიძისა, 7 წლის, ქ. მახარაძე.



„სურა“—ნაძერწი დიმიტრი ნატროშვილისა, 8 წლის, წნორი.

ზაურ ბოლქვაძე

ლხინში—სიხარული,
ჭირში—ერის მცველი,
ჩვენი სიამაყე
შოთა რუსთაველი.
გულში უკვდავების
შუქის შემომტანი,
მზის და ოქროს წიგნი
ვეფხისტყაოსანი.
რვა საუკუნეა,
ნათელში თუ ბნელში,
„დედა ენასავით“
ხალხს უჭირავს ხელში.
ხალხმა დააფარა
მას მზრუნველი კალთა,
მტერი არ მიუშვა
ვეფხისტყაოსანთან.
შენი მიწის სუნთქვა,
შენი დედის ნანა,
წიგნი მშობლიური
საქართველოსთანა.
ზეცასავით ვრცელი,
ვარსკვლავივით მნათი,
წიგნი მეომარი
საქართველოსათვის.
მამულივით უყვარს
და შვილივით ჰკოცნის
ხალხი დიდ პოემას
უდიდესი მგოსნის.
წინ გადაგეშლება
სიბრძნის გზად და ხიდად,
მის პოემას დიადს,
როცა წაიკითხავ.
შენს ქართველად გაზრდას
მამასავით ელის,
ერის უკვდავება—
შოთა რუსთაველი.



„ბრძოლა ხატაელებთან“—ნახატი გიორგი გეგენავასი, 9 წლის, თბილისი.

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი.

სარედაქციო კოლეგია: გ. გეგეჭკორი, კ. გოგიაშვილი, ჯ. ლოლუა, მაყ. მრევლიშვილი. ჯ. ნინუა, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), ნ. წულეისკირი (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. ჭეიშვილი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ყდაზე ქანდაკება მ. ბერძენიშვილისა. მაკეტი ზ. კაპანაძისა და ვ. მელიქიშვილისა ტექრედაქტორი გ. როინიშვილი

გამოცემის ოცდამეცხრამეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამომცემლობა „ნაკადული“, გამომც. შეკვ. № 455, სტამბის შეკვ. № 2267, ტირაჟი 50000, ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VII 1966 წ.

ჟურნალი დაბეჭდილია საქ. კპ ცკ გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატში ლენინის ქ. № 14 „ДИЛА“ № 9 на грузинском языке. Тбилиси, просп Плеханова № 91

რედაქციის მისამართი: თბილისი. პლეხანოვის პროსპ. № 91, ტელ. 5-37-38, 5-18-09. ფასი 20 კაპ.

76055

6 10/216

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვეფხისტყაოსანს

გიორგი ლეონიძე

ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი... ჩაგცქერი;
წიგნი კი არა,—ქრქოლა ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის.

წიგნი კი არა,—დილა ხარ,
ქართველი ხალხის ნათელი.
გულის ფესვებში გინახავ,
გულში ხარ გამონათალი.

უთენებელი ბნელეთის
შენ ერთი გვყავდი მთეველი;
სიმდიდრე ბევრი წაგვართვეს,
შენ დაგვრჩი წაურთმეველი!

შენ არ გჭიროდა სახიზრად
გამოქვაბულთა წყვდიადი.
არწივის ფრთაში ჩასაფრდი,
ქოხის ნაცარში ბრწყინავდი.

გწვავდნენ და არ იწვებოდი,
ცეცხლში დიდების მხვეჭელი.
ვერც ქარიშხალი გფანტავდა,
ხევების ამომგლეჯელი.

შენ ხმალის ლარზედ ეწერე,
ანდერძი ოქროხმოვანი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანი!“



„შოთა რუსთაველი“—ნახატი ირაკ-ლი დუნდუასი, 8 წლის, თბილისი.